2-15993/25
25-11-2025

საქართველოს პარლამენტის

ეკონომიკური პოლიტიკის

კომიტეტის თავმჯდომარეს,

ბატონ შოთა ბერეკაშვილს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალ სხვა კანონპროექტზე (№205/3-XIმპ; 19.11.2025)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2025 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: შოთა ბერეკაშვილისა და ლევან მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტი (№205/3-XIმპ; 19.11.2025).

I. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ძირითადი არსი

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის თანახმად, ახლებურად განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სამეწარმეო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის საკითხები. კერძოდ, აღნიშნული კანონის მოქმედი რედაქციით იმ სამეწარმეო საზოგადოებაში,

რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. აღნიშნული სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს.

წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს საჯარო მოსამსახურის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50 პროცენტით ან 50 პროცენტზე ნაკლები წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობას.

II. კომიტეტის შეფასება

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, ისეთ საწარმოებში, რომლებშიც სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობა 50 პროცენტი ან მასზე ნაკლებია, შესაძლებელი იქნება სამეთვალყურეო საბჭოში საჯარო მოსამსახურის წარმომადგენლობა. აღნიშნული განაპირობებს სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ სამეწარმეო საზოგადოებაში სამეთვალყურეო ფუნქციების განხორციელების დამატებით შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის წევრების: შოთა ბერეკაშვილისა და ლევან მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტი (№205/3-XIმპ; 19.11.2025) კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
არჩილ გორდულაძე

2-15994/25
25-11-2025

საქართველოს პარლამენტის
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს

ასლი: საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ დეპარტამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების: შოთა ბერეკაშვილისა და ლევან მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს კანონის პროექტები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მის თანამდევი საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№205/3-XIმპ, 19.11.2025).

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა 2025 წლის 25 ნოემბრის კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: შოთა ბერეკაშვილისა და ლევან მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს კანონის პროექტები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მის თანამდევი საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№205/3-XIმპ, 19.11.2025).

კომიტეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია და მხარს უჭერს წარმოდგენილი კანონის პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დაჩქარებული წესით გატანას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ქადაგიშვილი